გადაწყვეტილება

N გ-26-3/110
12/03/2026

110-გ-26-1-4-202603121246

მაუწყებლობის სფეროში შპს „ჯიემთივის“ ავტორიზაციის შეჩერების თაობაზე

ავტორიზებული პირი: შპს „ჯიემთივი“ (ს/კ 406284391);

წარმოების დაწყების საფუძველი: კომისიის აპარატის ადმინისტრაციის 2026 წლის 13 იანვრის N26-10-42 მოხსენებითი ბარათი;

კომისიის სხდომის თარიღი: 2026 წლის 12 მარტი;

I. აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის ადმინისტრაციის 2026 წლის 13 იანვრის N26-10-42 და 28 იანვრის (N26-10-200) სამსახურებრივი ბარათებიდან ირკვევა, რომ შპს „ჯიემთივი“ 2023 წლის დეკემბრის თვიდან 2025 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით კომისიაში არ წარმოადგენს რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშების ფორმებს.
ასევე მედიამომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის 2026 წლის 29 იანვრის (№23-10-216) სამსახურებრივი ბარათიდან ირკვევა, რომ შპს „ჯიემთივის“ 2024 წლის იანვრიდან კომისიის სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებში ინფორმაცია არ წარმოუდგენია ასევე დეპარტამენტის მიერ განხორციელებული პერიოდული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა რომ 2024 წლის აპრილიდან შპს „ჯიემთივი“ არ მაუწყებლობს.

2. კომისიის 2026 წლის 5 თებერვლის №გ-26-23/50 გადაწყვეტილებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მაუწყებლობის სფეროში შპს „ჯიემთივის“ ავტორიზაციის შეჩერების თაობაზე. ზეპირი მოსმენის თარიღად განისაზღვრა 2026 წლის 12 მარტის 15:00 საათი, ხოლო გადაწყვეტილების მიღების ვადად ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 სამუშაო დღე. შპს „ჯიემთივის“ კომისიის 2026 წლის 5 თებერვლის №გ-26-23/50 გადაწყვეტილება 2026 წლის 6 თებერვალს გაეგზავნა ელექტრონულ მისამართზე. გადაწყვეტილება ელექტრონულ მისამართზე კომპანიას ჩაბარდა 2026 წლის 6 თებერვალს (მიღებულია ავტომატური საშუალებით დადასტურება). ასევე, 2026 წლის 6 თებერვალს ინტერნეტში, კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე საჯარო გაცნობისათვის გამოქვეყნებული იყო ცნობა N26-08 საჯარო წარმოების დაწყების თაობაზე ზეპირი მოსმენის ჩატარების თარიღის მითითებით და შპს „ჯიემთივისთვის“ ავტორიზაციის შეჩერების თაობაზე კომისიის გადაწყვეტილების პროექტი.

3. კომისიის 2026 წლის 12 მარტის ზეპირი მოსმენის სხდომას არ ესწრებოდა შპს „ჯიემთივის“ წარმომადგენელი ასევე 2026 წლის 12 მარტის ჩათვლით პერიოდში დაინტერესებული მხარეების მიერ წერილობითი მოსაზრებები კომისიაში წარმოდგენილი არ არის. სხდომაზე კომისიამ მიიჩნია, რომ მის მიერ შესრულებულ იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მოთხოვნა დაინტერესებული მხარის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმასთან

დაკავშირებით, შესაბამისად კომისია უფლებამოსილია საკითხი განიხილოს შპს „ჯიემთივის“ დაუსწრებლად.

II. მარეგულირებელი კანონმდებლობა

4. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების მიმწოდებლების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე ზედამხედველობასა და მის კონტროლს ახორციელებს მხოლოდ კომისია, გარდა საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ზედამხედველობისა და კონტროლისა. ამასთან, ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის მე–3 პუნქტის ნ) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისიის ფუნქციას წარმოადგენს ავტორიზაცია, ავტორიზაციის პირობების მოდიფიცირება, ავტორიზაციის შეჩერება, განახლება და გაუქმება, მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მომსახურების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და ავტორიზაციის პირობების დაცვაზე ზედამხედველობა და მისი კონტროლი.

5. “საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის N144/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ” კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის N 95/19 გადაწყვეტილებით ყველა იმ პირს, ვისაც გავლილი აქვს ავტორიზაცია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობაზე ან მაუწყებლობაზე, ასევე ვინც ფლობს კომისიის მიერ გაცემულ ამოწურვადი რესურსით სარგებლობის ან მაუწყებლობის სფეროში საქმიანობის ლიცენზიას, დაევალათ ამ გადაწყვეტილების დანართი N1–ით განსაზღვრული სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შევსება და კომისიაში წარმოდგენა, ამ ფორმებში მითითებული პერიოდულობით.

6. ”მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად მედიამომსახურებისა და ვიდეოგაზიარების პლატფორმის მიმწოდებლები ვალდებული არიან ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, კომისიის ანგარიშზე ჩარიცხონ რეგულირების საფასური და კომისიას წარუდგინონ ინფორმაცია კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმით.

7. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

8. ,,მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 38^2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კომისიის ინიციატივით ავტორიზაციის შეჩერება ხორციელდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით.

III. სამოტივაციო ნაწილი

1. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

9. შპს „ჯიემთივი“ (ს/კ 406284391) წარმოადგენს მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებულ პირს, რომელიც კომისიის 2019 წლის 25 ივლისის №გ-19-1/442 გადაწყვეტილების საფუძველზე ფლობს ავტორიზაციას (BR-5064, 25.07.2019) შემდეგი პირობებით:
ა) მაუწყებლობის სახე: ტელემაუწყებლობა;
ბ) მაუწყებლობის სახეობა: კერძო მაუწყებლობა;
გ) მაუწყებლობის ქვესახეობა: საერთო ტელემაუწყებლობა;

დ) მაუწყებლობის ენა/ენები: ქართული;
ე) მაუწყებლობის მინიმალური ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში: 6 საათი;
ვ) მაუწყებლობის გავრცელების ტექნოლოგია და აღნიშნულის შესაბამისად მაუწყებლობის გავრცელების გეოგრაფიული არეალი:
ვ.ა) ინტერნეტი (საქართველო);
ვ.ბ) მაუწყებლობის გავრცელების სხვა ტექნოლოგიები (საქართველო);
ზ) მაუწყებლობის ხელმისაწვდომობა:
ზ.ა) ინტერნეტი - უფასო;
ზ.ბ) მაუწყებლობის გავრცელების სხვა ტექნოლოგიები - უფასო;
თ) მაუწყებლობის დაწყების ვადა: მაუწყებლობის დაწყების ვადა: ინტერენეტით და მაუწყებლობის გავრცელების სხვა ტექნოლოგიებით 2019 წლის 15 დეკემბრამდე.

2. სამართლებრივი შეფასება

10. ”მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 45^1 მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს ავტორიზაცია საკუთარი ინიციატივით, თუ ავტორიზებული პირი ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ერთობლივად:
ა) არ ახორციელებს ავტორიზებულ საქმიანობას;
ბ) არ წარუდგენს კომისიას რეგულირების საფასურის გაანგარიშებებს ან წარუდგენს ნულოვან გაანგარიშებას;
გ) არ იხდის რეგულირების საფასურს;

11. კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომაზე აღინიშნა, რომ სახეზეა ”მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 45^1 მუხლის მე-14 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა, კერძოდ კომპანია ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ ახორციელებს ავტორიზებულ საქმიანობას, არ წარუდგენს კომისიას რეგულირების საფასურის გაანგარიშებებს, არ იხდის რეგულირების საფასურს. კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომაზე კომისიამ ზეპირი მოსმენა დასრულებულად ჩათვალა და საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება მიზანშეწონილად მიიჩნია იმავე დღეს ძირითად სხდომაზე.

12. კომისიის 2026 წლის 12 მარტის სხდომას არ ესწრებოდა შპს „ჯიემთივის“ წარმომადგენელი. კომისიის 2026 წლის 12 მარტის სხდომაზე აღინიშნა, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პროცესში არ გამოვლენილა შპს „ჯიემთივის“ ავტორიზაციის შეჩერების დამაბრკოლებელი გარემოებები. შესაბამისად კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მაუწყებლობის სფეროში შპს „ჯიემთივის“ ავტორიზაციის შეჩერების თაობაზე.

IV. სარეზოლუციო ნაწილი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის მე–3 პუნქტის ნ) ქვეპუნქტის, 38^2 მუხლის მე-2 პუნქტის, 45^1 მუხლის მე-14 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 115-ე მუხლების, 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის და IX თავის შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. შეუჩერდეს შპს „ჯიემთივის“ (ს/კ 406284391) ავტორიზაცია (BR-5064, 25.07.2019) მაუწყებლობის განახლების შესახებ ინფორმაციის კომისიისათვის წარდგენამდე;
2. განემარტოს შპს „ჯიემთივის“, რომ ავტორიზაციის შეჩერებისას ავტორიზებული პირის მიერ მაუწყებლობის განახლება ხდება ავტორიზებულ პირთა უწყებრივ რეესტრში გატარების შემდეგ კომისიისათვის საქმიანობის განახლების შესახებ შეტყობინების გაგზავნისა და კომისიის მიერ ამ შეტყობინების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შემდეგ;
3. განემარტოს შპს „ჯიემთივის“, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 144^1-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაციის

გარეშე საქმიანობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომლისთვისაც ადმინისტრაციული სახდელის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით;

4. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას (ბ. გასვიანი):

ა) აღნიშნული გადაწყვეტილების შპს „ჯიემთივისთვის“ გაგზავნა;

ბ) აღნიშნული გადაწყვეტილების კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;

5. დაევალოს კომისიის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (ნ.ლორთქიფანიძე) ავტორიზაციის შეჩერების თაობაზე ინფორმაციის კომისიის ავტორიზებულ პირთა რეესტრში შეტანის უზრუნველყოფა;

6. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნების დღიდან;

7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) შპს „ჯიემთივის“ ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;

8. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

გოგა გულორდავა

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი